ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2019 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ ღონისძიებებს და მიმართულებებს, რომლის განხორციელება გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტით.

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივნისის №385 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

სამოქმედო გეგმის განსაზღვრა რეგიონისა და ქალაქის სტაბილური განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ქ. ბათუმის პრიორიტეტების განსაზღვრისას მთავარ მიზნად იქნა დასახული ქალაქის ეკონომიკური განვითარების ტემპის შენარჩუნება, ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯების ეფექტიანობის გაზრდა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ქ. ბათუმში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მომდევნო წლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2019 წლების პრიორიტეტულ მიმართულებებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

აღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილია იმ პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომელთა დაფინანსება საკუთარი უფლებამოსილების გათვალისწინებთ ხორციელდება, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ისე მოზიდული სახსრების საშუალებით.

<u>2014-2015 წლების მოკლე მიმოხილვა</u>

2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შედეგების ანალიზი

ბიუჯეტის შემოსულობები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 117,605.0 ათასი ლარი.

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წელი				
	გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა (3-2)	შესრულება % (3/2)	შესრულებს %-ლი წილი
1	2	3	4	5	6
შემოსავლები	**115,300.0**	**117,242.4**	***1,942.4***	***101.7%***	**99.7%**
გადასახადები	13,000.0	13,937.5	*937.5*	*107.2%*	11.9%
გრანტები და ფინანსური დახმარება	76,993.0	76,387.1	*-605.8*	*99.2%*	65.0%
გათანაბრებითი ტრანსფერი	*52,542.3*	*52,542.3*	*0.0*	*100.0%*	*44.7%*
სპეციალური ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	*7,998.2*	*7,396.3*	*-601.9*	*92.5%*	*6.3%*
სპეციალური ტრანსფერი აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	*16,452.5*	*16,448.5*	*-4.0*	*100.0%*	*14.0%*
სხვა შემოსავლები	25,307.0	26,917.8	*1,610.8*	*106.4%*	22.9%
არაფინანსური აქტივების კლება	**400.0**	**362.6**	***-37.4***	***90.6%***	**0.3%**
სულ	**115,700.0**	**117,605.0**	**1,905.0**	***101.6%***	**100%**

- 2014 წელს შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 13,936.5 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად ქონების გადასახადის სახით იყო წარმოდგენილი.
- გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 76,387.1 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებდა საქართველოს სახელმიფო ბიუჯეტიდან მიღებულ გათანაბრებით და სპეციალურ ტრანსფერებს, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულ ფინანსურ დახმარებას (სპეციალურ ტრანსფერს).
- სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებმა შეადგინა 26,917.8 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს პროცენტების, რენტის, მოსაკრებლების, ჯარიმებისა და სანქციების სახით მიღებულ შემოსავლებს.
- არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი აქტივებისა და მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) მოდის 362.6 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 105,380.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა უპირატესად იმ პროგრამებისა და სფეროების დაფინანსებაზე, რომელიც წარმოადგენდა თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განაწილდა:

(ათას ლარებში)

დასახელება	**2014 წელი**			
	გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა (2-3)	შესრულებს %-ლი წილი
1	2	3	4	5
ხარჯები	**77,401.9**	**71,679.8**	**5 722.1**	**68.0%**
შრომის ანაზღაურება	8,531.1	8,489.4	41.7	8.1%
საქონელი და მომსახურება	16,424.6	15,768.0	656.6	15.0%
პროცენტი	2,649.7	2,548.4	101.3	2.4%
სუბსიდიები	30,847.4	30,462.5	384.9	28.9%
სოციალური უზრუნველყოფა	4,997.8	4,253.2	744.6	4.0%
სხვა ხარჯები	13,951.3	10,158.3	3 793.0	9.6%
არაფინანსური აქტივები	**39,890.0**	**25,611.2**	**14 278.8**	**24.3%**
ვალდებულებები	**8,398.6**	**8,089.0**	**309.5**	**7.7%**
სულ	**125,690.5**	**105,380.0**	**20 310.4**	**100.0%**

პროგრამულ ჭრილში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათას ლარებში)

დასახელება	**2014 წელი**			
	გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა (2-3)	შესრულებს %-ლი წილი
1	2	3	4	5
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	22,374.8	21,543.6	831.2	20.4%
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	40.0	30.2	9.8	0.03%
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	66,706.7	53,382.9	13,323.8	50.66%
განათლება	12,091.9	11,013.8	1,078.1	10.5%
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	15,900.9	11,636.5	4,264.4	11.0%
მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	7,109.8	6,306.8	803.0	6.0%
სხვადასხვა ღონისძიებები	1,466.4	1,466.3	0.1	1.4%
სულ	**125,690.5**	**105,380.0**	**20,310.4**	**100%**

2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საპროგნოზო გეგმა

ბიუჯეტის შემოსულობები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 104,842.3 ათასი ლარით განისაზღვრა.

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	გადახრა (3-2)
1	2	3	4
შემოსავლები	**117,242.4**	**102,242.3**	***-15,000.1***
გადასახადები	13,937.5	16,400.0	*2,462.5*
გრანტები და ფინანსური დახმარება	76,387.1	62,817.3	*-13,569.8*
გათანაბრებითი ტრანსფერი	*52,542.3*	*52,542.3*	*0.0*
სპეციალური ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	*7,396.3*	*1,000.0*	*-6,396.3*
სპეციალური ტრანსფერი აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	*16,448.5*		*-16,448.5*
კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან		*9,275.0*	*9,275.0*
სხვა შემოსავლები	26,917.8	23,025.0	*-3,892.8*
არაფინანსური აქტივების კლება	**362.6**	**2,600.0**	***2,237.4***
სულ	**117,605.0**	**104,842.3**	**-12,762.7**

- 2014 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობებიდან 16,400.0 ათასი ლარი საგადასახადო შემოსავლებზე (ქონების გადასახადი) მოდის.

- 62,817.3 ათას ლარს შეადგენს ფინანსური დახმარება, რომელიც აერთიანებს საქართველოს სახელმიფო ბიუჯეტიდან მისაღებ გათანაბრებით და სპეციალურ ტრანსფერებს, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღებ ფინანსურ დახმარებას (კაპიტალურ ტრანსფერს).

- 23,025.0 ათასი ლარი მოდის სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე.

- 2,600.0 ლარით დაგეგმილია არაფინანსური აქტივების კლება (პრივატიზაციიდან დაგეგმილი შემოსულობა).

ბიუჯეტის გადასახდელები

ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი 139,019.4 ათასი ლარით განისაზღვრა, რომელიც ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	გადახრა (3-2)
1	2	3	4
ხარჯები	**71,679.8**	**73,952.4**	**2,272.6**
შრომის ანაზღაურება	8,489.4	18 099.6	9,610.2
საქონელი და მომსახურება	15,768.0	28 358.4	12,590.4
პროცენტი	2,548.4	3 040.4	492.0
სუბსიდიები	30,462.5	12 099.0	-18,363.5
სოციალური უზრუნველყოფა	4,253.2	5 410.2	1,157.0
სხვა ხარჯები	10,158.3	6 944.8	-3,213.5
არაფინანსური აქტივები	**25,611.2**	**55 987.7**	**30,376.5**
ვალდებულებები	**8,089.0**	**9 079.3**	**990.3**
სულ	**105,380.0**	**139,019.4**	**33,639.4**

ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში:

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	სხვაობა (3-2)
1	2	3	4
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	21,543.6	22,382.8	839.2
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	30.2	1,866.0	1,835.8
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	53,382.9	82,217.0	28,834.1
განათლება	11,013.8	10,320.4	-693.4
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	11,636.5	13,960.6	2,324.1
მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6,306.8	8,272.6	1,965.8
სხვადასხვა ღონისძიებები	1,466.3		-1,466.3
სულ	**105,380.0**	**139,019.4**	**33,639.4**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2019 წლების ბიუჯეტის ძირითადი ფინანსური ინდიკატორები

ბიუჯეტის ბალანსი

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროექტი	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
შემოსავლები	**117,242.4**	**102,242.3**	**105,642.3**	**106,442.3**	**107,142.3**	**108,042.3**
გადასახადები	13,937.5	16,400.0	30,100.0	30,400.0	30,600.0	31,000.0
გრანტები	76,387.1	62,817.3	52,542.3	52,542.3	52,542.3	52,542.3
სხვა შემოსავლები	26,917.8	23,025.0	23,000.0	23,500.0	24,000.0	24,500.0
ხარჯები	**71,679.8**	**73,952.4**	**76,442.3**	**84,480.0**	**86,342.3**	**88,283.0**
შრომის ანაზღაურება	8,489.4	18,099.6	19,714.5	21,127.5	22,294.4	23,128.7
საქონელი და მომსახურება	15,768.0	28,358.4	29,507.7	34,363.3	34,187.3	34,439.0
პროცენტი	2,548.4	3,040.4	3,734.7	4,172.3	3,953.4	3,578.5
სუბსიდიები	30,462.5	12,099.0	11,140.0	11,755.0	12,167.0	12,685.0
სოციალური უზრუნველყოფა	4,253.2	5,410.2	5,202.5	5,292.3	5,312.3	5,325.3
სხვა ხარჯები	10,158.3	6,944.8	7,142.9	7,769.6	8,427.9	9,126.4
საოპერაციო სალდო	**45,562.6**	**28,289.9**	**29,200.0**	**21,962.3**	**20,800.0**	**19,759.3**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**25,248.6**	**53,387.7**	**76,142.5**	**62,309.8**	**80,811.2**	**52,439.2**
ზრდა	25,611.2	55,987.7	78,142.5	63,809.8	82,311.2	53,939.2
კლება	362.6	2,600.0	2,000.0	1,500.0	1,500.0	1,500.0
მთლიანი სალდო	**20,314.0**	**-25,097.8**	**-46,942.5**	**-40,347.6**	**-60,011.2**	**-32,679.9**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**12,224.9**	**-34,177.1**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ზრდა	12,258.7					
კლება	33.7	34,177.1				
ვალდებულებების ცვლილება	**-8,089.0**	**-9,079.3**	**-11,294.5**	**-14,185.6**	**-14,224.8**	**-14,241.7**
ზრდა	0.0	0.0				
კლება	8,089.0	9,079.3	11,294.5	14,185.6	14,224.8	14,241.7
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**-58,237.0**	**-54,533.1**	**-74,236.0**	**-46,921.5**

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროექტი	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
შემოსულობები	**117,638.7**	**139,019.4**	**107,642.3**	**107,942.3**	**108,642.3**	**109,542.3**
შემოსავლები	117,242.4	102,242.3	105,642.3	106,442.3	107,142.3	108,042.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება (კლება)	362.6	2,600.0	2,000.0	1,500.0	1,500.0	1,500.0
ფინანსური აქტივების ცვლილება (ნაშთის კლება)	33.7	34,177.1				
გადასახდელები	**105,380.0**	**139,019.4**	**165,879.3**	**162,475.4**	**182,878.3**	**156,463.8**
ხარჯები	71,679.8	73,952.4	76,442.3	84,480.0	86,342.3	88,283.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება (ზრდა)	25,611.2	55,987.7	78,142.5	63,809.8	82,311.2	53,939.2
ვალდებულებების ცვლილება (კლება)	8,089.0	9,079.3	11,294.5	14,185.6	14,224.8	14,241.7
სხვაობა	**12,258.7**	**0.0**	**-58,237.0**	**-54,533.1**	**-74,236.0**	**-46,921.5**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამების აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური და ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პარალელურად პრიორიტეტის შესაბამისად დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა, შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი ბიუჯეტი

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროექტი	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
03 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**56,419.8**	**82,217.0**	**104,632.1**	**90,978.9**	**114,207.8**	**87,204.3**
03 01	**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**24,275.0**	**21,202.5**	**53,281.0**	**50,117.0**	**67,021.6**	**41,260.0**
03 01 01	გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა	17,576.5	16,967.5	48,931.0	46,017.0	62,871.6	37,060.0
03 01 02	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაცია	586.2	735.0	1,350.0	1,100.0	1,150.0	1,200.0
03 01 03	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება	5,745.0	3,500.0	3,000.0	3,000.0	3,000.0	3,000.0
03 01 04	ნაპირგამაგრებითი სამუშაოები	367.3					
03 02	**კომუნალური**	**20,409.6**	**40,870.3**	**35,895.3**	**30,537.0**	**37,311.3**	**33,997.4**

	ინფრასტრუქტურის განვითარება						
03 02 01	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,984.0	8,032.6	10,181.0	4,177.3	10,307.3	1,700.0
03 02 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	746.3	174.5		717.0	1,256.0	6,090.5
03 02 03	კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია	365.4	1,652.3	480.0			
03 02 04	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება	2,843.1	11,167.4	5,839.3	3,064.5	2,250.0	2,250.0
03 02 05	ქალაქის დასუფთავება	6,666.4	6,777.2	7,050.0	7,060.0	7,270.0	8,500.0
03 02 07	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,224.4	4,086.4	3,700.0	5,650.0	5,700.0	4,200.0
03 02 06	იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს		2,500.0	1,930.0	2,500.0	2,500.0	2,500.0
03 02 08	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა	4,580.0	6,479.9	6,715.0	7,368.3	8,028.1	8,756.9
03 03	**ქალაქის კეთილმოწყობა**	**8,514.6**	**9,124.7**	**9,425.8**	**7,524.9**	**8,924.9**	**9,696.9**
03 03 01	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ტექნიკური ზედამხედველობა	383.8	1,047.5	750.0	750.0	750.0	900.0
03 03 02	ქალაქის დაგეგმარება	45.9	114.3	50.0	50.0	50.0	50.0
03 03 03	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა	3,875.3	300.0	300.0	300.0	300.0	300.0
03 03 04	ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	219.8	59.6				
03 03 05	ქალაქის გაფორმება	338.8	645.3	700.0	700.0	800.0	1,050.0

03 03 06	პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა	577.4	2,656.1	300.0	400.0	500.0	650.0
03 03 07	ქალაქის გამწვანების ღონისძიებები	2,130.5	1,928.9	3,040.0	2,925.0	2,840.0	3,110.0
03 03 08	ბათუმის განვითარების ფონდი	68.3	256.0	855.0	1,455.0	1,005.0	1,155.0
03 03 09	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	542.1	1,877.5	3,165.8	699.9	2,426.9	2,221.9
03 03 10	ტურისტული ობიექტების მართვა	332.7	239.5	265.0	245.0	253.0	260.0
03 04	**განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია**	**3,220.6**	**11,019.5**	**6,030.0**	**2,800.0**	**950.0**	**2,250.0**
03 04 01	საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია	1,742.9	4,148.6	4,000.0	2,500.0	550.0	1,800.0
03 04 02	სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია	1,477.7	6,870.9	2,030.0	300.0	400.0	450.0

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 03 01)

აღწერა და მიზანი:

ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მუდმივი სრულყოფა ქუჩების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლოატაციის სფეროში. კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს საავტომობილო სატრანსპორტო ნაკადების ეფექტურ გადაადგილებას. საავტომობილო ტრანსპორტის ეფექტური განვითარება კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ტემპებსა და დონეს. სატრანსპორტო სისტემის გამართული ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის. კეთილმოწყობილი ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე. ქალაქის მოვლილი ქუჩები, გზები და ტროტუარები ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ.

აქტუალურია ქალაქში მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს მუნიციპალური საქალაქო სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესებას და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებას, ასევე მგზავრობის ტარიფის მინიმალური ზღვარის შენარჩუნებას.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაცია; მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება.

შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის მიზნებია: საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის ფორმირება; სატრანსპორტო-საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა–განვითარება; რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში (საქალაქო საშუალო ტევადობის ავტობუსები) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული გადაყვანისას მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, მომხმარებლისათვის რეგულირებადი ტარიფის შენარჩუნება; მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მოსალოდნელი შედეგი:

- განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
- ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 03 02)

აღწერა და მიზანი:

ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

ქალაქის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. 2007 წლიდან მიმდინარეობს „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი“ რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხით და ქ. ბათუმის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი მოიცავს ქალაქის წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის სრულ რეაბილიტაციას.

მიწისქვეშა კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პარალელურად პრიორიტეტულია ასევე ქალაქში არსებული ავარიული სახლების რეაბილიტაცია და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა.

ხელმისაწვდომი, კომფორტული და სათანადო ხარისხის საცხოვრისი, თავისი სოციალურ-ეკონომიკური, თანასწორუფლებიანობის განმტკიცების, ასევე ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების თვალსაზრისით, წარმოადგენს თანამედროვე ურბანული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს და მნიშვნელოვან პრობლემას. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით დაგეგმილია მრავალბინიანი კორპუსების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაცია; წყლის სისტემების რეაბლიტაცია; კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია; ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება; ქალაქის დასუფთავება; გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

მრავალბინიანი სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნული პროგრამის მიზანია: ქალაქის კომუნალური ინფრასტრუქტურის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ქალაქის სანიტარული დასუფთავების უზრუნველყოფა; ქალაქის ესთეტიკურად მიმზიდველი გარემოს შექმნა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა და განვითარება; ქალაქ ბათუმის მოქალაქეთა ხელმისაწვდომი და სათანადო ხარისხის საცხოვრისით უზრუნველყოფა მათთვის ახალი საცხოვრისის ეკონომიკურად ხელმისაწვდომი გრძელვადიანი გამოსყიდვის უფლების მექანიზმების შექმნის გზით.

მოსალოდნელი შედეგები:

- რეაბილიტირებული და გამართული ქალაქის კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- მოწესრიგებული, რეაბილიტირებული და განვითარებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და მათი ინფრასტრუქტურა;
- დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათის საცხოვრებელ ბინებზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა;
- უბინაობის პრობლემის შემცირება გრძელვადიან პერსპექტივაში.

ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამა
(პროგრამული კოდი 03 03)

აღწერა და მიზანი:

ინფრასტრუქტურის განვითარებით და კეთილმოწყობის პროექტების რეალიზებით შესაძლებელია ქალაქის ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარება და უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი ეფექტის მიღება როგორც მოსახლეობის დასაქმების, ასევე ქალაქის შემოსავლების გაზრდის მხრივ.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამის ფარგლებში იგეგმება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ტექნიკური ზედამხედველობა; ქალაქის ქონების პასპორტიზაცია, უსახური შენობა-ნაგებობების დემონტაჟი; საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (ლერმონტოვის ქუჩის საექსპოპრიაციო კომპენსაციის გაცემა); წლის განმავლობაში და სადღესასწაულოდ ქალაქის გაფორმების უზრუნველყოფა; პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა; ქალაქის გამწვანების ღონისძიებები; ძველი ბათუმის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავება; კულტურულ-მემკვიდრეობითი ძეგლების აღდგენა-გამაგრებითი და სარეაბილიტაციო პროგრამების პროექტების შედგენა; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა; ტურისტული ობიექტების მართვა.

აღნიშნული პროგრამის მიზანია: ქალაქის კეთილმოწყობის უზრუნველყოფა; ქალაქის ტურისტული პოტენციალის ზრდა; ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფა; ქალაქის თანამედროვე იერსახის შექმნა უსახური შენობებისაგან გათავისუფლების გზით; ქალაქის გამწვანების უზრუნველყოფა; ქალაქის ქუჩების სწორი დაგეგმარების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგები:

- შეუფერხებლად განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები;
- პასპორტიზებული ქალაქის ქონება;
- უსახური შენობა-ნაგებობებისგან გათავისუფლებული ქალაქი;
- თანამედროვე ლანდშაფტური დიზაინით გაფორმებული და გამწვანებული ქალაქის ტერიტორია;
- ქალაქის გაზრდილი ტურისტული პოტენციალი;
- მოსახლეობაზე ორიენტირებული ეკოლოგიური გარემოს შექმნა.

განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის მიზანია: ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი, პატარებისთვის გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მიზნით საბავშვო ბაღებში შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა, ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სწორი ფიზიკური განვითარება; სასპორტო და დასვენების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამყარება და სრულყოფა საბავშვო და მოზარდთა სპორტის, მასიური ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის; სავარჯიშო-სანახაობრივი და სასწავლო-სავარჯიშო ობიექტების შექმნა; ადგილობრივი დონის სასპორტო და დასვენების ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: საბავშვო ბაღების კაპიტალური რემონტი; ურეხის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა; თამარის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა; ბონი-გოროდოკის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა; გონიო-კვარიათის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა; სპორტული მოედნების მშენებლობა; ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- კეთილმოწყობილი გარემო საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის;
- სკოლამდელი განათლების გაზრდილი ხელმისაწვდომობა;
- ექსპლუატაციაში შესული ანგისის დასახლების სპორტული ბაზა;
- სპორტის განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლებაზე ზრუნვა იწყება ადრეული, სკოლამდელი ასაკიდან. საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი შესაბამისად, სკოლამდელი განათლების

დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. ბავშვის ადრეული განვითარება ის საძირკველია, რომელიც შემდგომ საზოგადოებისათვის სრულფასოვან, ჯანსაღ პიროვნებას აყალიბებს. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ბავშვის ადრეულ განვითარებასა და აღზრდაზე ზრუნვა, მისთვის განვითარების მასტიმულირებელი გარემოს შექმნა.

სკოლამდელი აღზრდა სცილდება ბავშვის მხოლოდ სკოლისათვის მომზადების არეალს და მიზნად ისახავს მისი საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო ჩვევების განვითარებას ადრეული ასაკიდან.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი ბიუჯეტი

ათას ლარებში

კოდი	**დასახელება**	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფეგმა	2016 წლის პროექტი	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
04 00	**განათლება**	**9,270.9**	**10,320.4**	**10,381.9**	**11,200.2**	**11,843.1**	**12,382.7**
04 01	**სკოლამდელი განათლება**	**9,255.0**	**10,237.9**	**10,237.9**	**10,997.7**	**11,573.1**	**12,060.2**
04 01 01	საბავშვო ბაღების განვითარების ხელშეწყობა	9,255.0	10,237.9	10,237.9	10,997.7	11,573.1	12,060.2
04 02	**ზოგადი განათლების ხელშეწყობა**	**4.8**					
04 02 01	დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მხარდაჭერა	4.8					
04 03	**უმაღლესი განათლების ხელშეწყობა**		**52.5**	**105.0**	**157.5**	**210.0**	**262.5**
04 03 01	წარმატებულ სტუდენტთა მხარდაჭერა		52.5	105.0	157.5	210.0	262.5
04 04	**უცხოეთში სტაჟირება**	**11.1**	**30.0**	**39.0**	**45.0**	**60.0**	**60.0**
04 04 01	ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა	11.1	30.0	39.0	45.0	60.0	60.0

სკოლამდელი განათლების პროგრამა
(პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი:

საბავშვო ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის. საბავშვო ბაღი, როგორც დაწესებულების ტიპი, წარმოადგენს პირველ რგოლს განათლების სისტემაში. მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის შეიქმნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

პროგრამის მიზანია ბავშვთა ბაღებში ნორმალური პირობების უზრუნველყოფა პატარებისთვის მათი გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება; საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა; საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება; საბავშვო ბაღის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება (გადამზადება)

მოსალოდნელი შედეგები:

- ბავშვის ინტერესებსა და უფლებებზე ორიენტირებული ფიზიკური და სოციალური გარემო;

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა
(პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი:

პროგრამის მიზანია სტუდენტთა სტიმულირება და ფინანსური მხარდაჭერა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

პროგრამა ითვალისწინებს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ იმ სტუდენტებზე ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის გაცემას, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და დააკმაყოფილებენ პროგრამით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულმა სტუდენტმა ამ პროგრამით გათვალისწინებული სტიპენდია შეიძლება მოიპოვოს, თუ მიღებული აქვს დადებითი შეფასება არანაკლებ ((B) ძალიან კარგი) წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად .

სტიპენდია გაიცემა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი საფეხურის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებზე:

ა) საინჟინრო (დარგი - მშენებლობა);

ბ) მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები (დარგი - არქიტექტურა);

გ) ხელოვნება.

თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე სტიპენდიას მიიღებს 10 საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტი (მათ შორის - 5 საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტი, რომელთა შეფასება არის მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი, მიიღებს ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიას 200 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი 5 საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტი - მიიღებს ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიას 150 ლარის ოდენობით).

თუ ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულების ჯამით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე რეიტინგის მიხედვით. თუ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი აბსოლუტური ქულების ჯამი, სტიპენდია გაიცემა შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:

1. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

2. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

პროგრამის ფარგლებში სტიპენდია გაიცემა სემესტრებში ერთხელ. სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით სტიპენდია გაიცემა არაუგვიანეს მომდევნო წლის მაისის თვისა და ერთობლივად მოიცავს 4 სასწავლო თვეს. თუკი სტუდენტი შეინარჩუნებს დადებით შეფაესებას სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის, ის ავტომატურად ხდება პრეტენდენტი სტიპენდიის მიღებაზე. სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტიპენდია გაიცემა არაუგვიანეს ნოემბრის თვისა და ერთობლივად მოიცავს 6 სასწავლო თვეს.

თუ ამ პროგრამით გათალისწინებული კატეგორიების მიხედვით დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია კატეგორიის მიხედვით განსაზღვრულ რაოდენობაზე, დარჩენილი რაოდენობა დაემატება სხვა კატეგორიას თანმიმდევრობის დაცვით.

ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაზრდილია კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

უცხოეთში სტაჟირება
(პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის აღწერა და მიზანი:

პროგრამის მიზანია ახალგაზრდების ხელშეწყობა, მათთვის დამატებითი სამუშაო გამოცდილების მიღების შესაძლებლობის მიცემა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა კადრების ზრდა.

ითვალისწინებს ახალგაზრდების პროფესიულ სტაჟირებას და/ან გადამზადებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე თურქეთსა და შვეიცარიაში.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 18-დან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაინც, ფლობს არანაკლებ ერთ უცხო ენას და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს სტაჟირების გავლის დამადასტურებელ მოწვევას. სტაჟიორთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით. სტაჟირების მსურველთა შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება ტურიზმის, მშენებლობის, არქიტექტურის, სკოლამდელი აღზდისა და ხელოვნების მიმართულების სხვადასხვა დარგების სპეციალისტებს.

კონკურსის შედეგად შერჩეული სტაჟიორი მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 3 000 ლარის ოდენობით, ერთჯერადი გასაცემლის სახით. სტაჟიორს აუნაზღაურდება: მგზავრობის, ვიზისა და დაზღვევის ხარჯები, ასევე ყოველდღიური ხარჯები არაუმეტეს 7 დღისა, ყოველდღიურად 100 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგები:

- პროფესიული კვალიფიკაცია ამაღლებულია იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც დასაქმებულები არიან კულტურის, ტურიზმის, მშენებლობის, არქიტექტურისა და სკოლამდელი აღზრდის სფეროში.

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ქ. ბათუმში ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების ხელშეწყობა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნება. მრავალი სოციალურ-ეკონომიური ცვლილების კვალდაკვალ, რამაც მსოფლიო ჩვენით დააინტერესა, მნიშვნელოვანია უნიკალური კულტურული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ამ მხრივ მიმართული კულტურის პროგრამის ღონისძიებები ხელს შეუწყობს ბათუმის საერთაშორისო-საფესტივალო ქალაქად დამკვიდრებას, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, შემოქმედებითი ცხოვრების გააქტიურებას, აქ მოღვაწე და მოწვეულ ხელოვანთა წარმოჩენასა და მათი შემოქმედების პოპულარიზაციას, ნოვატორული იდეების წარმოჩენასა და წახალისებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციასა და მოქალაქეთა მაღალ ესთეტიური გემოვნების ჩამოყალიბებას.

ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ქ. ბათუმის ბიუჯეტიდან გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიების დაფინანსება, კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, წარმატებული

სპორტსმენებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე პირთა წახალისება და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი ბიუჯეტი

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროექტი	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**10,158.8**	**13,960.6**	**16,402.9**	**16,554.7**	**17,558.8**	**17,370.1**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**5,120.2**	**4,679.8**	**6,132.0**	**6,775.4**	**7,244.5**	**7,814.9**
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	291.8	298.0	382.0	427.0	460.0	502.0
05 01 02	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა	3,900.1	3,233.5	4,340.0	4,960.0	5,372.0	5,875.0
05 01 03	სპორტულ-ახალგაზრდულის ცენტრის განვითარება	928.4	1,148.3	1,410.0	1,388.4	1,412.5	1,437.9
05 02	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**4,727.4**	**9,125.5**	**10,038.9**	**9,522.9**	**10,041.2**	**9,263.1**
05 02 01	კონკურსებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მხარდაჭერა	160.8					
05 02 02	ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი	260.0	290.0				
05 02 03	ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა	83.2					

05 02 04	ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2,365.8	5,827.0	3,606.8	3,442.8	3,418.1	3,420.0
05 02 05	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	707.1	727.5	3,077.1	2,495.1	2,778.1	1,788.1
05 02 06	ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა	1,093.4	1,121.0	2,000.0	2,200.0	2,400.0	2,600.0
05 02 07	შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მხარდაჭერა		1,030.0	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
05 02 08	კულტურული ღონისძიებების საკონცერტო მომსახურებით უზრუნველყოფა	57.1					
05 02 09	კულტურის სხვადასხვა ღონისძიებები						
05 02 11	თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა		130.0	150.0	150.0	180.0	180.0
05 02 12	კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა			205.0	235.0	265.0	275.0
05 02 13	კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობა			50.0	70.0	80.0	80.0
05 03	**საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**	**311.3**	**155.3**	**232.0**	**256.5**	**273.0**	**292.0**
05 03 01	ახალგაზრდობის საქმეთა ღონისძიებები	311.3	155.3	232.0	256.5	273.0	292.0

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა
(პროგრამული კოდი 05 01)

აღწერა და მიზანი:

პროგრამის მიზანია მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შემუშავება და სპორტის პოპულარული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნება და მათი პოპულარიზაციისათვის საერთაშორისო თუ ადგილობრივი ტურნირების ჩატარება, ასევე საპლაჟო სპორტული სახეობების პოპულარიზაცია და ქალაქის გადაქცევა სპორტული ტურიზმის ქალაქად.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სპორტის სხვადასხვა სახეობაში ტურნირებისა და შეჯიბრებების ორგანიზება-მოწყობა; სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა; ზამთრის სპორტის განვითარების მიზნით სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ფიგურული სრიალის კლუბის შექმნა; ჰოკეის კლუბის შექმნა; ზამთრის სპორტის სახეობათა და დახურული სპორტული დარბაზის მატერიალური ბაზის მოვლა-პატრონობა, სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება; საპლაჟო სპორტული სახეობების განვითარება.

სპორტული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სპორტის მასიურობას, სპორტული საკლუბო გუნდების გაუმჯობესებულ ფუნქციონირებას, სპორტული საკლუბო სახეობების და მდიდარი ტრადიციების შენარჩუნებას და ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციას.

მოსალოდნელი შედეგები:

- გამოვლენილი პერსპექტიული სპორტსმენები;
- მოსახლეობის მაღალი ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში;
- სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩატარებული ტურნირები და შეჯიბრებები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში ბათუმელი სპორტსმენების წარმატებული გამოსვლა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა
(პროგრამული კოდი 05 02)

აღწერა და მიზანი:

ბათუმს, როგორც უძველეს კულტურულ ფასეულობებზე აღმოცენებულ უზარმაზარი წარსულის მქონე ქალაქს და ქვეყნის დასავლეთის ფორპოსტს, მრავალი სოციალური-ეკონომიური ცვლილებების კვალდაკვალ, სჭირდება კულტურული და ტურისტული პოტენციალის განვითარება. იმისათვის, რომ მსოფლიოს მზარდ ინტერესს ქალაქმაც ღირსეულად უპასუხოს საჭიროა სათანადო მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელება.

კულტურის განვითარების პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ხელოვანი საზოგადოების განვითარებას, ხელოვანთა შესაძლებლობების ზრდას და კავშირების გაღრმავებას მსოფლიოს თანამედროვე სახელოვნებო ინსტიტუტებთან. მნიშვნელოვანია ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და განვითარება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ბათუმის როგორც კულტურის მნიშვნელოვანი კერის ცნობადობისა და ტურისტული პოტენციალის ზრდას.

პროგრამის ფარგლებშ განხორციელდება საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში ხელოვანთა მონაწილეობის მხარდაჭერა; ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა; საზაფხულო თეატრის სარემონტო სამუშაოები; დიასპორების ხელშეწყობის ღონისძიებები (ქალაქში არსებული დიასპორების უშუალო ჩართულობა და ერთობლივი ღონისძიებების მოწყობა. მონაწილეობა მათ დღესასწაულებში ეთნიკური უმცირესობების გამორჩეული პიროვნებების ღვაწლის წარმოჩინებით); ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა; ბოტანიკური ბაღის მიმდინარე მოვლა-პატრონობა და ბაღის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება; შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სუბსიდირება; კულტურული ღონისძიებების - ფესტივალების, კონცერტებისა და გამოფენების მხარდაჭერა.

აღნიშნული პროგრამა ასევე მიზნად ისახავს იმ ადამიანების და ჯგუფების ხელშეწყობას, რომლებიც მოღვაწეობენ კულტურის სხვადასხვა დარგში. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, ბათუმელი ხელოვანების მიერ აღმოცენებული თანამედროვე ხელოვნება უნდა იქცეს მსოფლიოს კულტურის ფენომენად. ამ პროცესის მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის ღირსეულ ინტეგრირებას ევროპისა და მსოფლიოს კულტურაში.

მოსალოდნელი შედეგები:

- ხელოვანთა წარმოჩენა და ხელშეწყობა;
- ქალაქის გაზრდილი ცნობადობა;
- ადგილობრივი ხელოვნების სფეროს ამაღლებული პრფესიონალიზმი.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03)

აღწერა და მიზანი:

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები განკუთვნილია ქალაქ ბათუმის ახალგაზრდების, სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის. პროგრამის ფარგლებში ჩატარდება საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სოციალური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო მასშტაბის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ინტელექტუალური თამაშები „რა? სად? როდის?“; ბათუმის ახალგაზრდული თეატრალური კვირეული; სამთო ახალგაზრდული ბანაკის ორგანიზება; სტუდენტ-ახალგაზრდული კვირეული. პროგრამა იძლევა შესაძლებლობას ხელი შეეწყოს საჭიროების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციას საზოგადოებაში და მათი სამოქალაქო შეგნების ზრდას.

მოსალოდნელი შედეგები:

- ახალგაზრდების შემოქმედების, პოტენციალის წარმოჩენა;
- ახალგაზრდების განვითარება ინტელექტუალური და შემეცნებითი ღონისძიებების უზრუნველყოფით.

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

საზოგადოება, განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, თავისი წევრების ჯანმრთელობის დაცვისა და გაუმჯობესებისათვის ქმნის დაწესებულებების, კადრების, მატერიალური და სხვა რესურსების გარკვეულ ერთობლიობას, გამოყოფს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განსაზღვრულ სფეროს ან სისტემას. ამ თვალსაზრისით, ჯანმრთელობის დაცვა მთლიანობაში განიხილება როგორც რთული საზოგადოებრივი დინამიკური ფუნქციონალური სისტემა, რომელსაც ადამიანთა საზოგადოება თავისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ქმნის და გამოიყენებს ღონისძიებათა დიდი კომპლექსის განხორციელებისათვის თითოეული ადამიანის და მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვისა და მისი მუდმივი გაუმჯობესების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის წარმოდგენილი პროგრამები გათვალისწინებულია ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის, განსაკუთრებით საშიში დაავადების ადრეული გამოვლენის, პრევენციისა და მკურნალობის, მოსახლეობის ინფორმირების, ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო-სოციალური პირობების შექმნის, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი ბიუჯეტი

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროექტი	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**6,490.5**	**8,442.8**	**9,417.2**	**9,747.7**	**10,029.4**	**10,315.5**
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	**1,897.8**	**2,891.2**	**3,102.4**	**3,192.2**	**3,231.2**	**3,250.4**
06 01 01	ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	195.9	269.0	294.0	314.0	318.0	320.0
06 01 02	ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და	68.7	82.9	99.5	101.5	103.5	106.6

	ოპერაციული მკურნალობა						
06 01 03	მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობა და ახალშობილთა სქრინინგი	45.0	49.4	52.2	55.2	58.2	60.1
06 01 04	ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	51.6	84.4	84.4	89.4	89.4	92.4
06 01 05	სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება	83.4	117.5	75.0	75.0	75.0	75.0
06 01 06	ქ. ბათუმში მცხოვრები ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა	59.4	69.0	72.5	74.5	74.5	76.5
06 01 07	ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა	22.8	29.2	32.2	35.2	35.2	38.2
06 01 08	სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მხარდაჭერა	742.6	800.0	800.0	800.0	800.0	800.0
06 01 09	მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა	20.1	43.6	48.4	53.2	53.2	53.2
06 01 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია	59.9	106.3	110.3	116.3	116.3	116.3

06 01 11	სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა C ჰეპატიტის სქრინინგი და მკურნალობა	132.5	185.3	185.3	225.3	225.3	225.3
06 01 12	მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	83.6	66.1	184.3	194.3	201.3	201.3
06 01 13	მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა		20.0	55.0	55.0	58.0	58.0
06 01 14	ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა		8.0	18.0	22.0	22.0	22.0
06 01 15	სამედიცინო დახმარების კომპონენტი	148.6	550.0	525.5	525.5	525.5	525.5
06 01 16	სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები	183.6	266.0	294.5	294.5	314.5	318.6
06 01 17	განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული რეაბილიტაცია		45.3	63.8	53.8	53.8	53.8
06 01 18	სმენის დარღვევების ბავშვთა რეაბილიტაცია		21.6	30.0	30.0	30.0	30.0
06 01 19	ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი		77.6	77.5	77.5	77.5	77.5
06 02	**სოციალური უზრუნველყოფა**	**4,592.6**	**5,551.6**	**6,314.8**	**6,555.4**	**6,798.2**	**7,065.2**
06 02 01	სოციალურად დაუცველი ფენის უფასო კვებით უზრუნველყოფა	1,606.3	1,874.6	2,062.0	2,268.2	2,495.0	2,744.5
06 02 02	მკვეთრად გამოხატული შ.შ.მ. პირების შეღავათებით უზრუნველყოფა	22.1	70.7	77.7	79.7	79.7	79.7

06 02 03	მატერიალური დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთ წლამდე ასაკის ახალშობილზე		36.0	190.0	190.0	190.0	190.0
06 02 04	ვეტერანებისა, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფა	151.4	228.1	230.1	230.1	230.1	230.1
06 02 05	უპოვართა და მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა მოვლა-პატრონობა	629.1	629.7	629.6	635.6	635.6	635.6
06 02 06	სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება	423.2	497.9	540.4	545.4	545.4	545.4
06 02 07	მატერიალური დახმარების გაცემა ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით	234.8	285.0	285.0	287.0	287.0	287.0
06 02 08	მრავალშვილიანი და უდედმამო ბავშვების ოჯახებისათვის მატერიალური დახმარება	215.0	508.0	587.2	587.2	587.2	587.2
06 02 09	პროფესიული სწავლება	21.8					
06 02 10	საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე შეღავათებით უზრუნველყოფა	366.5	926.0	1,297.7	1,297.7	1,297.7	1,297.7
06 02 11	გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა	115.3	147.6	150.6	155.6	155.6	155.6
06 02 12	დროებითი ღამის თავშესაფარი	55.9	131.4	144.5	159.0	174.9	192.4

06 02 13	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	689.0	170.3				
06 02 14	მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა	62.3	31.3				
06 02 15	სოციალურად დაუცველ პირთა მკურნალობის მიზნით სამგზავრო-სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა		15.0				
06 02 16	მატერიალური დახმარების გაცემა მარტოხელა დედებზე			120.0	120.0	120.0	120.0

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 01)

აღწერა და მიზანი:

ჯანმრთელობის დაცვის უპირველესი ამოცანაა ადამიანის ჯანმრთელობისა და ავადმყოფობების შესწავლა, მათი გამოვლენა, სწორი დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა, ინდივიდუალური და კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება. მოსახლეობის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სხვადასხვა ქრონიკული, გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამის ფარგლებშ განხორციელდება: ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და ოპერაციული მკურნალობა; მენჯ-ბარძაყის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობა და ახალშობილთა სქრინინგი; ფსიქიური პრობლემების მქონე პირტა ფსიქო-სოციალოური რეაბილიტაცია; სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება; ქ. ბათუმში მცხოვრებ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა; ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების მხარდაჭერა; სოციალურად დაუცველი ოჯახების საყრდენ მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიის მქონე ბავშვთა

რეაბილიტაცია და მკურნალობა; მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია; სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა C ჰეპატიტის სქრინინგი და მკურნალობა; მოვლის საჭიროების მქონე პირტა დახმარება; მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტტა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა; ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა; სანიტარული დაცვის უნზრუნველყოფის ღონისძიებები; განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული რეაბილიტაცია; სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია; ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი.

მოსალოდნელი შედეგები:

- დაავადებების სტაბილიზაცია და პრევენცია.

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02)

სოციალური დაცვა წარმოადგენს მოქალაქეთა კანონით განმტკიცებულ ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური გარანტიების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი სოციალური უფლებების დაცვას და ცხოვრების სოციალურად მიღებული დონის მიღწევას.

სოციალური პოლიტიკა ქვეყნის შიდა პოლიტიკის ნაწილია. სოციალური უზრუნველყოფის მთავარი იდეა სოციალური სამართლიანობის იდეაა. სახელმწიფოს არა აქვს უფლება იგნორირება გაუკეთოს იმ მდგომარეობას, რომ საზოგადოების ყველა წევრს არ შეუძლია ამა თუ იმ მიზეზების გამო უზრუნველყოს მისი და მისი ოჯახის ცხოვრების ნორმალური დონე, ამიტომ ის თავის თავზე იღებს შრომისუუნარო მოსახლეობის, სოციალურად დაუცველი ფენების მთლიანი ან ნაწილობრივი უზრუნველყოფის ვალდებულებას. განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს წარმოადგენენ შ.შ.მ. პირები და ომის ვეტერანები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: 'სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;'მკვეთრად გამოხატული შ.შ.მ. პირების შეღავათებით უზრუნველყოფა; მატერიალური დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთ წლამდე ასაკის ახალშობილზე; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალ დაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფა; უპოვართა და მზრუნველობას მოკლებულებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა; სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება; მატერიალური დახმარების გაცემა ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით; მრავალშვილიანი ოჯახების და უდედმამო ბავშვებისათვის მატერიალური დახმარება; პროფესიული სწავლება; საქალაქო ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფა; გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა; დროებითი ღამის თავშესაფრით და პირველადი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა; მატერიალური დახმარების გაცემა მარტოხელა დედებზე.

მოსალოდნელი შედეგები:

- სოციალურად დაუცველი ფენის გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროექტი	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
02 00	**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**	**30.2**	**1,866.0**	**50.0**	**50.0**	**50.0**	**50.0**
02 01	**ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა**	**30.2**	**40.0**	**50.0**	**50.0**	**50.0**	**50.0**
02 02	**საგანგებო სიტუაციების მართვა**		**1,826.0**				

პრიორიტეტი: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება მოქალაქეთა (წვევამდელთა, რეზერვისტთა) სამხედრო აღრიცხვა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო-სააღრიცხვო და გამწვევი კომისიების ფუნქციონირებისა და სამხედრო შეკრებათა ჩატარების და მობილიზაციის ღონისძიებები, რომელიც „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი:

პროგრამის მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა აღრიცხვა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება თანმდევი მომსახურებით (მსუბუქი კვება ტრანსპორტირებისას). რეზერვისტთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა მათი შეკრების ადგილამდე.

მოსალოდნელი შედეგები:

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის ქ. ბათუმში წვევამდელთა და რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია.